მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №6
2021 წლის 01 მარტი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. თანხმობა მიეცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ალექსანდრე მოწერელიას ბიუროს ფუნქციონირებისათვის, უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადასცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონება მდებარე ქ. მარტვილი თავისუფლების ქ N 10 ს/კ 41.09.04.094. კერძოდ: არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე დამაგრებული შენობა- ნაგებობის ფართიდან 33 კვ.მ. ფართი (სამი ოთახი).
2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მიწის ნაკვეთი და შენობა - ნაგებობა დაუბრუნდეს (საკ. კოდი 41.09.04.094) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მარტვილის მუნიციპალიტეტს.
3. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს აღნიშნული განკარგულების გადაგზავნა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისათვის.
4. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. N247)

საკრებულოს თავმჯდომარე: ალექსი გაბისონია